23/07/2025

MES 9 25 0000903113

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია - შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N9 საჯარო სკოლა:
სოფიო ქობალია - სკოლის დირექტორი
სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი:
დავით ლომსიანიძე - ლიცეუმის იურისტი;
მაია გაბუნია - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
ხათუნა ეჯიბია - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;
ვაჟა ჭელიძე - სასწავლო დაგეგმარებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი - ვიცე-პოლკოვნიკი
შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარი:
მაკა ჭიაბერაშვილი - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი
შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა:
გიორგი მელაძე - სკოლის დირექტორი
შპს ევროპული სკოლა:
ხათუნა ბარაბაძე - სკოლის ქართული პროგრამის ხელმძღვანელი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N9 საჯარო სკოლა:
ა) ელენე კალანდაძე (ზოგადიგანათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) აკაკი სადუნიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);-
გ) ნანა ავაზაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებებისსაგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაია ქუთათელიძე (უცხოურიენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლაშა სარალიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი:
ა) ხათუნა ლოდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თინა ძულიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მირანდა თურმანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარი:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა:
ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 09 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ
აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ნიუტონის თავისუფალ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. 2025 წლის 14 მაისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N520948 კორესპონდენციით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-5 საკითხის განხილვას ესაჭიროებოდა შედარებით მცირე დრო, აქედან გამომდინარე, დააყენა შუამდგომლობა აღნიშნული საკითხის 1-ელ საკითხად გადმოტანასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. 2025 წლის 14 მაისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N520948 კორესპონდენციით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ სახკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს ნიუტონის თავისუფალ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

1. **2025 წლის 14 მაისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N520948 კორესპონდენციით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ სახკითხის განხილვა**

ცენტრის წარმომადგენელმა, შპს ევროპულ სკოლასთან მიმართებით, განმარტა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2025 წლის 14 მაისს შემოვიდა კორესპონდენცია, სკოლაში ჩარიცხვის პროცესში შესაძლო დარღვევების შესახებ. განმცხადებელმა 2025 წლის 02 ივნისს წარმოადგინა ახალი წერილი, რომლითაც ითხოვდა, რომ მის მიერ ცენტრში პირველად წარმოდგენილ წერილს არ მისცემოდა მსვლელობა, ვინაიდან სკოლის მხრიდან მისი მოთხოვნა იყო დაკმაყოფილებული.

გამომდინარე იქიდან, რომ ცენტრისთვის ცნობილი გახდა, რომ სკოლა შესაძლოა არღვევდეს ჩარიცხვის პროცედურებს, ცენტრმა სკოლიდან გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

- წერილობითი განმარტება სკოლაში ჩარიცხვის და მობილობის პროცედურებთან დაკავშირებით (აქვს თუ არა სკოლას ტესტირების პროცედურა მობილობის შემთხვევაში);
- მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იყო მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი.

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარე წლის 16 ივნისს სკოლამ წარმოადგინა N675659 კორესპონდენცია, სადაც ასახული იყო, რომ გასაუბრებას სკოლა მობილობის შემთხვევაში ატარებდა მხოლოდ მოსწავლის დიაგნოსტირების მიზნით.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრმა შემდგომი შესწავლის მიზნით მიაწოდა საბჭოს.
ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, ცენტრს მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და სკოლაში მონიტორინგის განხორციელება. შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 27-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიმართა შუამდგომლობით შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ სურდა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელმა, ხათუნა ბარაბაძემ, აღნიშნა, რომ მოსწავლის მიღების პროცესი იწყებოდა ელექტრონული განაცხადით, შემდგომ ატარებდნენ ინტერვიუს მშობლებთან და მოსწავლეებთან და მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად ატარებდნენ სადიაგნოსტიკო წერებს. მისი თქმით, მოსწავლეთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდებოდა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დაწესებულებაში არ იყო დისკრიმინაციის შემთხვევის ფაქტები, მოსწავლის მიღება ხდებოდა ნებისმიერ შემთხვევაში და სადიაგნოსტიკო წერები იყო მხოლოდ მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება 2025 წლის 14 მაისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N520948 კორესპონდენციით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2. სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N9 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 15 და 16 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო

საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 350. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა “ნაწილობრივი” შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, ამ მიმართულებით ხორციელდებოდა სხვადასხვა აქტივობა და შექმნილი იყო კლუბები, მათ შორის: „სამოქალაქო განათლების კლუბი“; „სპორტული კლუბი „ფეხმარდი“; ისტორიის კლუბი „კლიო“ და სხვა. ექსპერტის თქმით, 2024 წლის აპრილიდან სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N9 საჯარო სკოლა, კონკურსის წესით, შერჩეულ იქნა ასოციაცია „ათინათი“ ევროკავშირისა და დანიის საბჭოს მხარდაჭერით ორგანიზებულ პროექტში "SEEDS - სოციალური მეწარმეობისა და განვითარებაზე დაფუძნებული უნარების გაძლიერება საქართველოსა და უკრაინაში", რომლის საფუძველზე სკოლაში ჩამოყალიბდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კლუბი, რომლის მუშაობას კურირებდა სკოლის დირექტორი და ბიბლიოთეკარი. მათი მხრიდან, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩართულობით განხორციელდა ვიზიტები და შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, აგრეთვე მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის კლუბის ფარგლებში დაიგეგმა რამდენიმე შეხვედრა ფსიქოლოგთან და საბაზო - საშუალო საფეხურის მშობლებთან საკუთარი შვილების პროფესიების არჩევის ხელშეწყობასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, აღჭურვილი იყო ყველა საჭირო რესურსითა და ინვენტარით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, სკოლაში არსებული წრეები იყო თუ არა ყველა მოსწავლისთვის უფასო. ასევე, რომელ სართულზე მდებარეობდა რესურსოთახი, ასევე ადაპტირებისა და სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით ხომ არ ჰქონდა დაწესებულებას გადადგმული გარკვეული ნაბიჯები.

ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ, აღნიშნა, რომ წრეები იყო უფასო და ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისათვის.

სკოლის დირექტორმა, სოფიო ქობალიამ, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესი წარიმართა ჯანსაღ გარემოში. მისი თქმით, პანდუსისა და სახანძრო უსაფრთხოების მოწყობისთვის მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის, პასუხად კი მიღებული ჰქონდათ, რომ დაწესებულება გათვალისწინებული იქნებოდა განათლების, მეცნიერებისა და

ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის სამოქმედო გეგმაში. აქვე, დასძინა, რომ სკოლაში სწავლობდა 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და რესურსოთახი მდებარეობდა სკოლის შენობის მე-2 სართულზე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში შეიმჩნეოდა სკოლის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა და მუშაობა და მისასალმებელი იყო, რომ თითქმის ყველა რეკომენდაცია დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა.
საბჭოს წევრმა, მანანა თურქაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის დამოკიდებულება არაფორმალური განათლების მიმართულებით იყო შთამბეჭდავი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N9საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:23
დასრულების დრო - 14:33

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N9 საჯარო სკოლას (ს/კ: 219986665) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ზუგდიდი, პიერ კობახიძის ქუჩა N95

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ზუგდიდი, პიერ კობახიძის ქუჩა N95
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ზუგდიდი, პიერ კობახიძის ქუჩა N95

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2027 წლის ივლისში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლის ყველა საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 07 და 08 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 330. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 330 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ ლიცეუმში დანერგილი იყო სტრუქტურული ერთეულების ანგარიშგების პრაქტიკა, რის საფუძველზეც ხდებოდა განხორციელებული საქმიანობის ანალიზი, ასევე, კადეტებისთვის უზრუნველყოფილი იყო უცხო ენების - თურქულის, ფრანგულის შესწავლა, შესაბამისი სეგმენტის TOEFL და SAT პროგრამისთვის მომზადება, ასევე, ლიცეუმში ტარდებოდა კონკურსები და ვლინდებოდა „წლის საუკეთესო ჯგუფი“; „საუკეთესო კადეტი“; „საუკეთესო მსროლელი“; „საუკეთესო აკადემიური მოსწრება“; „საუკეთესო ფიზიკური მომზადება“ და სხვა.

ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია); მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა “მეტწილი” შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა ყველა საჭირო რესურსი და ინვენტარი, ლაბორატორები იყო თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ჰქონდა სპორტული დარბაზი, სამედიცინო პუნქტი, სამი ღია სპორტული მოედანი და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, შესრულებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციები.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, რეკომენდაციათა ნაწილი უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ, თუმცა, მათი მხრიდან შესასრულებელი იყო რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებზეც მუშაობა ჰქონდათ დაწყებული და დათქმულ ვადებში აღნიშნულსაც შეასრულებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, როგორ ისწავლებოდა უცხო ენები დაწესებულებაში.

სკოლის დირექტორის მოადგილემ, მაია გაბუნიამ, აღნიშნა, რომ 10-11-12 კლასებში სავალდებულო საგანები იყო რუსული და ინგლისური ენა, ხოლო არჩევით საგნად ისწავლებოდა ფრანგული ენა და არასავალდებულო დამატებითი საგანი იყო თურქული ენა.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი, დაინტერესდა, რამდენი ვიდეო სამეთვალყურეო კამერა იყო დაწესებულების ტერიტორიაზე.

ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში უსაფრთხოება იყო მაქსიმალურად დაცული, შესვლა ხდებოდა სკანერით და ლიცეუმის მთელი პერიმეტრი კონტროლდებოდა ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, ვიდეო სამეთვალყურეო კამერები იყო თუ არა განთავსებული საკლასო ოთახებში.

სკოლის დირექტორის მოადგილემ, მაია გაბუნიამ, განმარტა, რომ ვიდეო კამერები საკლასო ოთახებშიც იყო დამონტაჟებული, თუმცა, აღნიშნული გამორთული იყო 16:00 საათამდე, ხოლო, 16:00 საათის შემდგომ საკლასო ოთახებში იწყებოდა თვითმომზადება და აუცილებელი იყო, საკლასო ოთახებში კამერები ყოფილიყო ჩართულ მდგომარეობაში.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაცია ჰქონდათ გავლილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან და ლიცეუმში განლაგებული ყველა კამერა დამონტაჟებული იყო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, გამოყოფილი ჰყავდათ თუ არა ვიდეო კამერების ჩართვა-გამორთვაზე პასუხისმგებელი პირი. აქვე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, აღნიშნულთან დაკავშირებით, ჰქონდათ თუ არა ოფიციალური დოკუმენტი მიღებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერისგან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ჰყავდათ თუ არა აყვანილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პერსონალურ მონცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია შეთავსებული ჰქონდა ერთ-ერთ თანამშრომელს, თუმცა, სამომავლოდ აპირებდნენ საშტატო ერთეულის გამოყოფას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიციაზე.

ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, აღნიშნა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანასთან დაკავშირებით სკოლის მიმართ გაიცა რჩევა.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით სკოლის ტერიტორიაზე განლაგებულ ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მონიტორინგს ახორციელებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიცია. მისი განმარტებით, ლიცეუმში გარკვეული პროცესები ხორციელდებოდა 24 საათის განმავლობაში და მისი განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭირო იყო საკლასო ოთახებში ყოფილიყო ვიდეო კამერები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, დოკუმენტურად გაეწერათ, თუ ვინ იქნებოდა პასუხისმგებელი პირი, რომელიც მონიტორინგს გაუწევდა 16:00 საათამდე კამერების გამორთულ მდგომარეობაში ყოფნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 330 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:07
დასრულების დრო - 15:18

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების და შესაბამისად, სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმს (ს/კ: 212922612) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 330 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის N51.

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის N51.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის იანვარში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. შპს დამოუკიდებელ სკოლა მოძღვარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 15 მაისს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ექსპერტის განმარტებით ვიზიტის დროს დაწესებულებაში ირიცხებოდა 231 მოსწავლე.
ექსპერტმა, ლია კობესაშვილმა, ისაუბრა ცენტრში შემოსული წერილის შინაარსზე და აღნიშნა, რომ განცხადება ეხებოდა შპს დამოუკიდებელ სკოლა მოძღვარში მოსწავლის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებს. მოსწავლის მშობელი, განცხადებაში აღნიშნავდა, რომ მისი შვილის მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობას მასწავლებლების, კონკრეტულად დამრიგებლისა და გახანგრძლივებულის მასწავლებლის მხრიდან. განმცხადებელი საჩივარში საუბრობდა ნათესაურ ურთიერთობებზე მოსწავლის დედის ოჯახსა და სკოლის დირექტორს შორის.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

- სკოლის მიერ მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ასახული, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესების განხორციელება, მათ შორის, უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობა;
- სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პიროებების დოკუმენტი და დოკუმენტით განსაზღვრული პროცესების აღსრულება;

- სკოლის სტრუქტურა, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და მათი აღსრულება;
- თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების ფაქტების არსებობა, საჩივრების განხილვის სისტემის არსებობა და საჩივრების განხილვის პროცესი;
- პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების არსებობა და აღნიშნული მექანიზმების აღსრულების პროცესი;
- სკოლის ფსიქოლოგიური და ემოციური გარემო. სკოლის ფსიქოლოგის სამუშაო გეგმისა და სადამრიგებლო პროგრამის გაცნობა და შესაბამისი აქტივობების განხილვა;
- სკოლის შიდა რეგულაციები, რომლითაც ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, მათ შორის შინაგანაწესი და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციით განსაზღრული ქმედებების განხორციელების პროცესი და აღნიშნული ქმედებების კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებთან შესაბამისობა;
- მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები.

ექსპერტის თქმით, დასკვნაში ასახული მიგნებები გამომდინარეობდა ვიზიტის დროს გამოთხოვილი და შესწავლილი დოკუმენტაციიდან, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ინტერვიუებითა, განცხადების ავტორთან და მოსწავლის მეორე მშობელთან გასაუბრებით. აქვე, მან ისაუბრა გამოვლენილ მიგნებებზე და აღნიშნა, რომ განმცხადებელი არ იცნობდა სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტაციას, ასევე, გამოკვეთილი იყო ხარვეზი დამრიგებელთა მუშაობაში, მისი თქმით, სკოლას ჰყავდა ფსიქოლოგი, თუმცა, განმცხადებლის შვილთან მას არ უმუშავია.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო, მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც სრულად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ასევე, დასკვნაში ასახული იყო თითოეული ხარვეზი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ფსიქოლოგი, რომელმაც განახორციელა რაიმე სახის ინტერვენცია.
ექსპერტმა, ლია კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა მტკიცებულება, რომ ფსიქოლოგი ესწრებოდა ყველა საგაკვეთილო პროცესს და ჩაუტარა ტრენინგები მასწავლებლებს. მისი შეფასებით, სკოლას ჰქონდა მზაობა, გაეთვალისწინებინა ყველა რჩევა.
დასკვნაში ასახული გარემოების საფუძველზე,საბჭოს წევრი, ნონა ჩუბინიძე, დაინტერესდა, რატომ არ ჰქონდა ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა ორივე მშობელს.
სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა, მაკა ჭიაბერაშვილმა, აღნიშნა, რომ განცხადების საფუძველი იყო ოჯახური კონფლიქტი. მისი თქმით, მოსწავლის არც ერთ მშობელს სკოლისთვის არ მიუმართავს იმ გარემოებით, რომ ირღვეოდა მოსწავლის უფლებები. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 15 მაისს, ხოლო 20 მაისს სკოლამ ჩაანაცვლა ფსიქოლოგი, რომელმაც დაიწყო აქტიური მუშაობა. აქვე, აღნიშნა, რომ ფსიქოლოგის აქტიური ჩართულობით ჩატარდა შეხვედრები მშობლებთან, თუმცა, ერთ-ერთი მშობელი (განმცხადებელი) არ გამოცხადდა შეხვედრაზე.

საბჭო წევრმა, მანანა თურქაძემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რას გულისხმობდა სკოლის დირექტორის მოადგილის კომენტარი, რომ ბავშვი იყო უზრდელი. ექსპერტმა, ლია კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ ეს ფრაზა მოცემული იყო განმცხადებელი მშობლის საჩივარში, იგი უნდობლობას უცხადებდა სკოლის დირექციას, ვინაიდან იკვეთებოდა ნათესაური კავშირი. აღნიშნული ფაქტი კი უარყო დირექტორის მოადგილემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:48
დასრულების დრო:16:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარის (სკ: 208156261) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის ოქტომბერში ფსიქოლოგის სამუშაო გეგმის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. შპს ნიუტონის თავისუფალ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს

თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 30 მაისს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ერთ-ერთი მშობლის საჩივარი, რომელშიც აღწერილი იყო, რომ მისი შვილი იყო ბულინგის მსხვერპლი თანაკლასელების მხრიდან და სკოლამ ვერ განახორციელა ქმედითი ნაბიჯები აღნიშნულის აღმოსაფხვრლად.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა ისაუბრა საჩივრის შინაარსზე და აღნიშნა, რომ განმცხადებლის თქმით, მისი შვილი სისტემატურად ხდებოდა თანაკლასელების მხრიდან ბულინგის მსხვერპლი, რაც არსებითად არღვევდა მოსწავლის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას და ვერ უზრუნველყოფდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას. განმცხადებლის ინფორმაციით, მან არაერთხელ მიმართა სკოლის ადმინისტრაციას შესაბამისი რეაგირების თხოვნით. მიუხედავად ამისა, მისივე შეფასებით, სკოლამ ვერ უზრუნველყო ადეკვატური ზომების გატარება პრობლემების აღმოსაფხვრელად. შედეგად, მოსწავლის მიმართ ბულინგის შემთხვევები კვლავაც გაგრძელდა და შეიქმნა მისთვის საფრთხისშემცველი სასწავლო გარემო. მშობლის განმარტებით, მოსწავლის გაუარესებულმა ფსიქო-ემოციურმა მდგომარეობამ და სტრესულმა გარემომ გამოიწვია საგაკვეთილო პროცესის გაცდენა (დაზუსტებით, ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებაში 30 მაისს. მოსწავლე ბოლოს სკოლაში იმყოფებოდა 23 მაისს). არსებული ვითარების გათვალისწინებით, მშობელი იძულებული გახდა განეხილა ბავშვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის შესაძლებლობა.

ექსპერტის თქმით, ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მოიცავდა ინტერვიუებს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მოსწავლის ტუტორებთან (სხვადასხვა სასწავლო ეტაპზე მოსწავლეს ორი ტუტორი ჰყავდა), ფსიქოლოგებთან და მშობლებთან. ასევე, მათ მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ სკოლის შიდა გარემოს სპეციფიკას, დოკუმენტაციას და ზოგად, ორგანიზაციულ მდგომარეობას/კულტურას. ექსპერტებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმ გარემოებების შესწავლას, რომლებიც უკავშირდებოდა მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. მათ მიერ განხილულ იქნა ფსიქოლოგიური კლიმატის გავლენა ბავშვების საერთო კეთილდღეობასა და სკოლის სივრცეში უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ ფსიქოლოგიური უსაფრთხოება წარმოადგენდა სასკოლო გარემოს განუყოფელ კომპონენტს და მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოებისა და განვითარების გარანტიებთან. დამატებით, სკოლის ადმინისტრაციამ ექსპერტებს წარუდგინა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია და სხვა სამართლებრივი თუ პროცედურული მასალები, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად უკავშირდებოდა განხილულ საკითხს. ეს დოკუმენტაცია ინტეგრირებულ იქნა შეფასების პროცესში და დაეხმარა ექსპერტებს სკოლაში არსებული პოლიტიკის, პრევენციული მექანიზმების და რეაგირების პრაქტიკის უფრო ღრმა გაანალიზებაში. ექსპერტთა მიერ განხორციელებული შეფასების ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკოლის შესაბამისობის განსაზღვრას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დადგენილ მესამე და მეოთხე სტანდარტების შერჩეულ ინდიკატორებთან. შეფასება მიზნად ისახავდა იმის გამოკვლევას, თუ რამდენად შეესაბამებოდა სკოლის საქმიანობა ამ სტანდარტებით

განსაზღვრულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფდა თუ არა დაწესებულება მოსწავლეთა საგანმანათლებლო, სოციალური და ფსიქო-ემოციური საჭიროებების ადეკვატურ დაკმაყოფილებას.
შეგროვებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ თანამშრომლობა სკოლასა და მშობელს შორის ვერ განხორციელდა იმ ფორმითა და ხარისხით, რაც საჭირო იყო პროცესების ეფექტური მართვისთვის - მიუხედავად სკოლის მხრიდან გამოვლენილი არა ერთი მცდელობისა, მშობელსა და დაწესებულებას შორის ვერ შედგა მტკიცე და კონსტრუქციული კომუნიკაცია, რაც ექსპერტების მხრიდან ინციდენტის მართვის მთავარ შემზღუდველ ფაქტორად განიხილებოდა.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, განმცხადებლის შვილი იყო თუ არა კვლავ აღნიშნული სკოლის მოსწავლე.
სკოლის დირექტორმა, გიორგი მელაძემ, აღნიშნა, რომ მშობელს განცხადება ჰქონდა დაწერილი მოსწავლის გადაყვანასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:23
დასრულების დრო: 16:31

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის (სკ: 216313727) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 16:35 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე

ელექტრონული ვერსია
ეროვნული ბიბლიოთეკა